ტვინების ბრძოლა
საქალაქო ჩემპიონატი | გაზაფხული 2025
U8 (VI, VII, VIII კლასები)

6 აპრილი

1. 5-ქულიანი შეკითხვა
იხსენებდა რა **თბილისის დინამოს** ვიზიტს **ლონდონში**, **თარჯიმანი** ჯორჯ სკელანი ამბობდა, რომ ყველაზე მეტად მატჩის დასრულების შემდეგ გაუჭირდა, როდესაც **საჭმელ-სასმლის** მირთმევის პარალელურად **ქართული იქსების** თარგმნა მოუხდა. იქსების **თანმიმდევრობა დაუზუსტებელი საკითხია**, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში **ღმერთის** ხსენებით იწყება. დაასახელეთ იქსი **ერთი** სიტყვით.

პასუხი: სადღეგრძელო
კომენტარი: სკელანი იხსენებდა - „მიხდებოდა რამდენიმეწუთიანი სიტყვის დამახსოვრება. ახსენებდნენ ყვავილებს, ჩიტებს.. სხვები კი მთხოვდნენ, ყველაფერი მეთარგმნა, აინტერესებდათ, რაზე საუბრობდნენ ამდენ ხანს, ასეთი გატაცებით“. საჭმელ-სასმლის მირთმევა დამატებითი მინიშნება იყო სუფრასთან ასოცირებულ ტრადიციაზე.
წყარო: https://www.sports.ru/football/blogs/402287.html

2. 6-ქულიანი შეკითხვა
ყურადღება, შეკითხვაში **ცვლილებაა**.
ამბობენ, რომ ერთმა ბიზნესმენმა გადაწყვიტა ახალი **გაზიანი სასმლის** შექმნა. მან მოითხოვა, რომ თანამშრომლებს ამ სასმლის **სახელის მოსაფიქრებლად** გამოეყენებინათ **წარმოსახვა**. არ გეკითხებით, რა სიტყვა **შევცვალეთ** სიტყვით “წარმოსახვა”. დაასახელეთ ეს **პოპულარული სასმელი**.

პასუხი: ფანტა
კომენტარი: ხელმძღვანელმა თანამშრომლებს ფანტაზიის გამოყენება სთხოვა, რის შედეგადაც პოპულარულ სასმელს “ფანტა” ეწოდა. სიტყვით “წარმოსახვა” შეცვლილი იყო “ფანტაზია”.
წყარო: http://flibusta.site/b/254423

3. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთი ვიდეოთამაშის შემქმნელებმა დიდი ყურადღება დაუთმეს **წვრილმანებს** და **გამადიდებელით შუშით** დააკვრიდნენ დეტალებს. მას შემდეგ, რაც ერთი პერსონაჟი თიხის **თოჯინად** გადაიქცევა, მასზე **ბავშვის იქსის დანახვაცაა** შესაძლებელი. **დამნაშავეების იქსებით ამოცნობა** ფართოდ დაინერგა **მონა ლიზას მოპარვის** შემდეგ. დაასახელეთ იქსი **ორი** სიტყვით.

პასუხი: თითის ანაბეჭდი
კომენტარი: თიხის თოჯინად ქცეულ პერსონაჟს ბავშვის მიერ თამაშის შემდეგ დატოვებული თითის ანაბეჭდი ემჩნევა. მონა ლიზას მოპარვის საქმე წინა საუკუნის დასაწყისში თითის ანაბეჭდების გამოძიებით გაიხსნა. ანაბეჭდებზე დაკვირვება გავრცელებული მეთოდია, რის დამატებით მინიშნებადაც “გამადიდებელი შუშით დაკვირვება” გამოგადგებოდათ.
წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/It_Takes_Two_(video_game)

https://en.wikipedia.org/wiki/Vincenzo_Peruggia

4. 5-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]

მოცემული **კარიკატურა** მიეძღვნა **2017 წელს იქსის რესტავრაციის** დაწყებას. დაწერეთ იქსი **ორი** სიტყვით, რომლებიც **ერთსა და იმავე ასოზე** იწყება.

პასუხი: ბიგ ბენი
კომენტარი: 2017 წელს დაიწყო ბიგ ბენის რესტავრაცია. კარიკატურაზე ბიგ ბენი წარმოდგენილი იყო, როგორც გიგანტური საათი, რომელსაც "გასწორება" სჭირდება.
წყარო:https://ru.wikipedia.org/wiki/Алтын-толобас
https://www.cartoonstock.com/cartoon?searchID=EC344436

5. 6-ქულიანი შეკითხვა
ლონდონის მეტროსთვის გვირაბის გაყვანისას, **ბიგ ბენის ქვეშ** მშენებლებმა დაამონტაჟეს მრავალი მილი, რომლითაც **ნიადაგი გაამაგრეს**. ერთი დოკუმენტური ფილმის მიხედვით, ეს გაკეთდა იმისთვის, რომ ბიგ-ბენი **არ დამსგავსებოდა სხვა ქვეყანაში** მდებარე ცნობილ **ღირსშესანიშნაობას**. დაასახელეთ ეს ღირსშესანიშნაობა **ორი** სიტყვით.

პასუხი: პიზის კოშკი
კომენტარი: ბიგ-ბენს საყრდენი საგულდაგულოდ გაუმაგრეს, რათა ის ევროპაში მდებარე ცნობილი კოშკივით არ გადახრილიყო გვირაბის გაყვანის გამო. პიზის კოშკი საყოველთაოდ ცნობილია იმით, რომ შესამჩნევად არის გადახრილი.
წყარო: https://www.imdb.com/title/tt13075460/?ref_=ttep_ep_4

6. 7-ქულიანი შეკითხვა
შვეიცარიის დაარსებასთან დაკავშირებული გადმოცემა ეხება ისეთ თემებს, როგორიცაა **თანასწორობა** და **ძმობა**. აღსანიშნავია, რომ შვეიცარიის **არაოფიციალური დევიზი ემთხვევა ფრაზას**, რომელიც უფრო პოპულარული გახდა **მე-19 საუკუნის ისტორიულ-სათავგადასავლო რომანიდან**. დაწერეთ ეს ფრაზა **რამდენიმე** სიტყვით.

პასუხი: ყველა ერთისთვის, ერთი ყველასთვის
კომენტარი: შვეიცარიის არაოფიციალური დევიზი ხაზს უსვამს სოლიდარობისა და თანასწორობის იდეებს და ჟღერს, როგორც "ყველა ერთისთვის, ერთი ყველასთვის". აღნიშნული ფრაზა პოპულარული გახდა "სამი მუშკეტერიდან". "თანასწორობა" და "ძმობა" საფრანგეთის ოფიციალური დევიზის შემადგენელი სიტყვებია, რაც დამატებითი მინიშნება იყო ფრანგულ ნაწარმოებზე.

წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Unus_pro_omnibus,_omnes_pro_uno

7. 5-ქულიანი შეკითხვა
ერთი წიგნის პერსონაჟი, რომლის ტვინიც **ბევრი ფიქრით** "**ბზუის**", აზრებს **იქსებს ადარებს**. პერსონაჟი ამბობს, რომ **აზრებს** შეუძლიათ ცოდნის **გადატანა** განათლების **მინდვრიდან**. დაასახელეთ იქსი **ერთი** სიტყვით.

პასუხი: ფუტკარი
კომენტარი: მწერალი აზრებს ხატოვნად ადარებს ფუტკრებს, რომლებიც გამუდმებით შრომობენ და თაფლს ამზადებენ. მინდვრისა და გადატანის ანალოგია დამატებითი მინიშნება იყო ფუტკრებზე.
წყარო: https://ka.wikipedia.org/wiki/მეფე_მათიუში_უკაცრიელ_კუნძულზე

8. 6-ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეული გუნდის სათამაშო მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოაზროვნე.]

მას შემდეგ რაც **ზღვის შტორმმა** მის ფლოტს უზარმაზარი **ზარალი** მაიყენა, ნაპოლეონ მესამემ ჩამოაყალიბა ახალი სამსახური, რომელსაც მეფისთვის **იქსის მოხსენება** ევალებოდა. იქსს თითქმის ყველა **ტელეარხი** უთმობს საეთერო დროს, ხოლო **ამერიკაში** იქსის დროს გაცილებით **მაღალ რიცხვებს** ვხვდებით. დაწერეთ იქსი **ორი** სიტყვით.

პასუხი: ამინდის პროგნოზი
კომენტარი: კლიმატის უეცარმა გაუარესებამ საფრანგეთის დამარცხება გმოიწვია, რის გამოც ნაპოლეონ მესამემ შექმნა ახალი სამსახური, რომელსაც ამინდის პროგნოზზე დაკვირვება ევალებოდა. ამერიკაში ტემპერატურის გასაზომად ფარენჰეიტის სისტემას იყენებენ, რაც ცელსიუსთან შედარებით მაღალ რიცხვებს იწვევს პროგნოზში.
წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Crimean_War
https://weather.com/forecast/national

9. 7-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]

GOOOOAL

დარიგებულ მასალაზე გამოსახული წარწერა ჩნდება ხოლმე **გერმანული** საფეხბურთო ჩემპიონატის მიმდინარეობისას. რამდენიმე წამის შემდეგ წარწერა **მცირედით იცვლება** და **ემსგავსება იქსის ლოგოს**. დაასახელეთ იქსი **ოთხასოიანი** სიტყვით.

პასუხი: აუდი
კომენტარი: ეს წარწერა გერმანულ საფეხბურთო ჩემპიონატში გოლის გატანისას ჩნდება ხოლმე ეკრანებზე. რამდენიმე წამის შემდეგ სიტყვა "გოლის" "ო"-ები ერთმანეთს უახლოვდება და ცნობილი გერმანული მანქანების ბრენდის, აუდის ლოგოს ემსგავსება.
წყარო: https://www.youtube.com/watch?v=AeNQz35-2ao

10. 5-ქულიანი შეკითხვა
ვაგრძელებთ თემას! იტალიელი ფრანჩესკო ბარაკა გამორჩეული **ცხენოსანი** იყო. მისი ადრეული **გარდაცვალების** შემდეგ, ფრანჩესკოს მშობლების თხოვნით, ცნობილმა **იტალიელმა ბიზნესმენმა** ცხენოსნის ხსოვნა უკვდავყო **იქსის ლოგოში**. დაასახელეთ იქსი **ექვსასოიანი** სიტყვით.

პასუხი: ფერარი
კომენტარი: ამ შეკითხვით ჩვენ გავაგრძელეთ მანქანების მწარმოებელი კომპანიების ლოგოების თემატიკა. გამორჩეული ცხენოსნის გარდაცვალების შემდეგ, მშობლების თხოვნით, პოპულარული იტალიური ავტომწარმოებლის, ფერარის ლოგოზე ცხენი დაიტანეს.
წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Francesco_Baracca

11. 6-ქულიანი შეკითხვა
[მოთამაშეებს განუმარტეთ, რომ მოკლე სიტყვად ითვლება სიტყვა, რომელიც შედგება სამი ან ნაკლები ასოსგან, მაგ: ხე, რძე, ქვა...]

უცნაურია, მაგრამ ფინელები **სულელ** ადამიანს **იქსს** უწოდებენ. **ჰარი პოტერის** სერიის ერთ ეპიზოდში **ჰარი** და **რონი** ერთმანეთს არ ელაპარაკებიან და მხოლოდ **ჰერმიონის მეშვეობით** აქვთ კომუნიკაცია, რაზეც **გაბრაზებული** ჰერმიონი ამბობს, რომ **ის არაა იქსი**. დაწერეთ იქსი **მოკლე** სიტყვით.

პასუხი: ბუ
კომენტარი: სტერეოტიპების საპირისპიროდ, რომლის მიხედვითაც ბუ სიბრძნესთან ასოცირდება, ფინელები ბუს სულელ ადამიანს უწოდებენ. ჯადოქრულ სამყაროში ბუებს წერილები გადააქვთ და ძირითად საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენენ, ამიტომ გაბრაზებულმა ჰერმიონმა თქვა, ბუ არ ვარო.
წყარო:https://brainly.in/question/8690385
https://harrypotter.fandom.com/wiki/Owl
https://en.wikipedia.org/wiki/Harry_Potter_and_the_Goblet_of_Fire_(film)

12. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთ სტატიაში, რომელიც მოგვითხრობს **ქარიშხლებისა** და **ქარბორბალის** მიერ **აშშ-სთვის** მიყენებულ კოლოსალურ **ფინანსურ ზარალზე**, ნახსენებია სიტყვები - **ფული უაზროდ გაფლანგეს**. წინა წინადადებაში ჩვენ **ორი სიტყვა შევცვალეთ** სხვა **ორი სიტყვით**. აღადგინეთ ეს ორი სიტყვა **თავდაპირველი ფორმით**.

პასუხი: ქარს გაატანეს
კომენტარი: ქართან ასოცირებულმა კატასტროფებმა ამერიკის შეერთებულ შტატებს დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა, რის გამოც აღნიშნეს, რომ აშშ-ში დიდი რაოდენობით თანხა პირდაპირი მნიშვნელობით ქარს გაატანეს. "ქარს გაატანა" ფრაზეოლოგიზმია, რომელიც უაზროდ გაფლანგვას მოიაზრებს.
წყარო: https://lenta.ru/articles/2008/09/15/hurricanes/

13. 5-ქულიანი შეკითხვა

სიტყვა “**იქსი**” მომდინარეობს **ძველებური მსხვილკალიბრიანი თოფის** სახელიდან. ცნობილი **ნაწარმოების პერსონაჟის** შესახებ დაწერილი ერთი სტატია დასათაურებულია, როგორც “**მივიწყებული მეოთხე იქსი**”. დაასახელეთ იქსი **ცხრაასოიანი** სიტყვით.

პასუხი: მუშკეტერი
კომენტარი: სტატიაში საუბარია იმაზე, რომ დ’არტანიანი წიგნის სათაურში ნახსენებ სამ მუშკეტერში არც კი მოიაზრება და მხოლოდ მეოთხეა. სიტყვა “მუშკეტერი” გულისხმობს მუშკეტით შეიარაღებულს. მუშკეტი ძველებური მსხვილკალიბრიანი თოფია.
წყარო: ბმული

14. 6-ქულიანი შეკითხვა
პოლ ანდერსონის მოთხრობაში **უცხოპლანეტელები დაფრინავენ** შუა საუკუნეების **ევროპაში**, რათა **შეაგროვონ** და **გადაარჩინონ** დედამიწის **ფლორისა** და **ფაუნის** წარმომადგენლები. მოთხრობის პერსონაჟი უცხოპლანეტელების **გემს** ადარებს **იქსს**. დაწერეთ **მოკლე სახელი,** რომელიც **ფიგურირებს იქსში**.

პასუხი: ნოე
კომენტარი: მემატიანე პერსონაჟის აზრით, უცხოპლანეტელების განზრახვა წააგავს ბიბლიური ნოეს გადმოცემას, სადაც მან კიდობნით შეძლო ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლების გადარჩენა.
წყარო: https://www.goodreads.com/book/show/715302.A_Stone_In_Heaven

15. 7-ქულიანი შეკითხვა
მამის გარდაცვალების შემდეგ აფრიკელი **პრინცი სუნდიატა ნათესავმა გადაასახლა**, მაგრამ ახალგაზარდა სუნდიატამ ტახტის **დაბრუნება** მაინც შეძლო. ბრძოლაში გამოჩენილი **ცხოველური სისასტიკისთვის** სუნდიატამ მიიღო **მეტსახელი**. დაწერეთ ეს მეტსახელი **ორი სიტყვით**, რომლებიც **ანბანის მეზობელ ასოებზე** იწყება.

პასუხი: მეფე ლომი
კომენტარი: სუნდიატას ცხოვრების ისტორია მოგვაგონებს დისნეის ცნობილი ანიმაციის, “მეფე ლომის” სიუჟეტს. ტახტის დაბრუნების შემდეგ ბრძოლაში გამოჩენილი სისასტიკისთვის ახალ მეფეს “მეფე ლომი” უწოდეს. “ლ” და “მ” ანბანის მეზობელი ასოებია.
წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Sundiata_Keita